



ATIPfund
GEORGIA

საქართველო, თბილისი 0177

თამარაშვილის ქ. № 15ა

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 395 350

15a Tamarashvili str.

Tbilisi 0177, Georgia

Tel/Fax: (+995 32) 2 395 350

www.atipfund.gov.ge

ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking



KA030809054661716

№ 07-131/თ

26 / სექტემბერი / 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შექმნის შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 იანვრის #07-1/ს ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. არაუგვიანეს 2016 წლის 30 სექტემბრისა გამოცხადდეს კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში - ფონდი) სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების დანართი 1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. დამტკიცდეს ფონდის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების ამ ბრძანების დანართი 1-ით გათვალისწინებული ვაკანტური თანამდებობებისათვის განსაზღვრული საკონკურსო მოთხოვნები დანართი 2-ის შესაბამისად.
3. კანდიდატს განცხადების წარსადგენად ეძლევა ათდღიანი ვადა, კონკურსის გამოცხადების დღიდან. კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა შეიძლება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.
4. ეთხოვოს ფონდის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფა.
5. კონკურსის პროცედურებთან და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით შეიქმნას საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 - ა) **ნათია ბერიკაშვილი** - ფონდის სამართლებრივი უზრუნველყოფის, საზოგადოებასთან და დონორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;
 - ბ) **მერი მაღლაფერიძე** - ფონდის მონიტორინგის, შეფასებისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) **ნინო გველესიანი** – ფონდის სამართლებრივი უზრუნველყოფის, საზოგადოებასთან და დონორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

დ) **მანანა ფურცხვანიძე** – ა(ა)იპ „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ იურისტი, კომისიის წევრი.

6. დაევალოს საპრეტენზიო კომისიას, უზრუნველყოს კონკურსის პროცედურებთან და კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის” შესაბამისად.

7. საპრეტენზიო კომისია პრეტენზიებს იღებს ელ.ფოსტის მეშვეობით: contact-atipfund@moh.gov.ge ან მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის 15ა.

8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მ-12კმ. #6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

თამილა ბარკალაია

